საქართველოს მთავრობის

დადგენილება №382

2016 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2016, 470230000.10.003.019066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:

ი.ა) ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა;

ი.ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის შესყიდვა;

ი.გ) მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა.“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-2 მუხლის „ა.ა“, „ა.ბ“, „ბ.ბ“, „გ.ბ“, „ე.გ“, „ვ.ბ“, „ვ.გ“, „ზ.ბ“, „ი.გ“, „კ“, „ლ“, „ნ.ა“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი, კომპონენტების მიხედვით, განისაზღვროს 29 879.7 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
	სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის:	5 700.0
1	1.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	5 500.0

	1.2. გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	200.0
2	დაბა ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს:	2 814.2
	2.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	2 198.5
	2.2. სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის, საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა	615.7
3	დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს:	1 871.2
	3.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	1 362.0
	3.2. საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა	104.2
	3.3. სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის შესყიდვა	405.0
4	პროგრამის ადმინისტრირება	48.0
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის:	11 379.0
	5.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	11 000.0
	5.2. საპროექტო/საავტორო ზედამხედველობა	9.0
	5.3. გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	370.0
6	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს:	1 965.5
	6.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	965.5
	6.2. ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის შესყიდვა	850.0
	6.3. გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	150.0
7	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბავშვთა კორპუსის:	1 626.1
	7.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	957.1
	7.2. სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის, საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა	669.0
8	ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათავო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა (თანადაფინანსება)	276.8

9	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:	1286.2
	9.1. ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა	428.9
	9.2. ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის შესყიდვა	542.3
	9.3. მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა	315.0
10	სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის სატვირთო (დახურული ტიპის) მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის შეძენა	26.0
11	მაღალი გამავლობის ავტომანქანების რეანიმობილად გადაკეთებისა და მათი აღჭურვისათვის საჭირო აპარატურის შესყიდვა	71.0
12	შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	65.7
13	ქ. ზუგდიდში სკრინინგ-ცენტრის:	1 630.0
	13.1. მშენებლობის საპროექტო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	30.0
	13.2. სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის, საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა	500.0
	13.3. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	1 100.0
14	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის (EMERGENCY):	1 100.0
	14.1. მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა	20.0
	14.2. სამშენებლო სამუშაოების, სამედიცინო აპარატურისა და ავეჯის, საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა	1 080.0
15	საექსპერტო/საინჟინრო სამუშაოები	20.0
	სულ	**29 879.7.“.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**